



St. John Chrysostom

Commentary on the Gospel of John

Translated from Greek
by St. Euthymius the Athonite

“Betania” Publishing House
Tbilisi
2018

წმ. იოანე ოქროპირი

თარგმანებად
იოანეს სახარებისად

თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა

გამომცემლობა „ბეთანია“
თბილისი
2018

ხელნაწერები:

Ath. 16 (XI ს.); Kut. 21 (1053 წ.); M 13 (1038 წ.; XIII-XIV სს.);

Jer. 32 (XI ს.); Jer. 34 (XII ს.); A 101 (XIII ს.)

ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ლაბორატორია „ორიონის“ თანამშრომლებმა:

ზურაბ სარჯველაძემ
ლელა ალექსიძემ
ნინო დობორჯგინიძემ
დარეჯან თვალთვაძემ
მანანა მაჩხანელმა
ლელა ნიჟარაძემ
ნანა შულლაძემ
თამარ ცოფურაშვილმა
მარინე ოდიკაძემ

რედაქტორები:

მზექალა შანიძე

ზურაბ სარჯველაძე

მეორე შესწორებული გამოცემა

საავტორო უფლება დაცულია

© მზექალა შანიძე, 2018

ISBN 978-9941-27-710-8

წინასიტყვაობა

საქრისტიანო მწერლობაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეგზეგეტიკას – საღმრთო წერილის განმარტებას.

იოანე ოქროპირს ეკუთვნის უზარმაზარი ეგზეგეტიკური ნაშრომი, რომელიც სახარების განმარტებას შეიცავს. იგი დაიწერა ბიზანტიის კეისრის, თევდოსი დიდის, დროს, 379–391 წლებში. არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ღმერთმა იოანე ოქროპირს საგანგებოდ უბრძანა ამ თარგმანების დაწერა. ნაწარმოები შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: მათეს თავისა და იოანეს თავის თარგმანებისაგან. ორივე თხზულება ქართულად უთარგმნია დიდ მწერალსა და მოღვაწეს, ეფთვიმე (ექვთიმე) მთაწმიდელს. მას და მის მამას, იოანე მთაწმიდელს, რომელმაც შვილი საგანგებოდ მოამზადა სამწერლო მოღვაწეობისათვის, კარგად ესმოდათ ამ ნაწარმოების მნიშვნელობა ქრისტიანული ზნეობისათვის; ალბათ, ამიტომ იყო, რომ ეფთვიმე მთაწმიდელმა ეს თხზულება თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისშივე გადათარგმნა.

ეფთვიმე მთაწმიდელი იყო შესანიშნავი მწერალი და მთარგმნელი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული სასულიერო მწერლობის განვითარების საქმეში. ეფთვიმეს უდიდესი ნიჭი და დამსახურება ადრევე ერთხმად იყო აღიარებული. უკვე ამ თარგმანში აშკარად ჩანს ეფთვიმეს მთარგმნელობითი სტილი: მისი ენა დახვეწილია და ბუნებრივი, ეფთვიმე ხშირად იყენებს ცოცხალი სამეტყველო ენიდან აღებული სიტყვებს. მისი წინადადებები ისეა აგებული, რომ მკითხველს არ ტვირთავს ზედმეტი სირთულით. ამიტომაც არის, რომ ათასი წლის წინათ შექმნილი ნაწარმოები დღესაც მიმზიდველი და საინტერესო საკითხავია.

„თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ“ ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ძველი ხელნაწერით (XI–XIII საუკუნეებისა). ტექსტის გამოსაცემად მომზადებისათვის შერჩეული იყო ექვსი ყველაზე ძველი და სანდო ნუსხა: ათონის ქართველთა მონასტრის №16 (XI ს.), იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ქართული ბიბლიოთეკის №32 (XI ს.) და №34 (XII ს.), კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა

ეროვნული ცენტრის A კოლექციის №101 (XIII ს.), ქუთაისის სახელ-
მწიფო ისტორიული მუზეუმის №21 (1053 წ.) და რუსეთის მეცნიერე-
ბათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართული
კოლექციის №29 (M 13) (1038 წ.; XIII-XIV სს.) ხელნაწერები. ტექს-
ტის გასამართავად მომუშავენი ეყრდნობოდნენ აკაკი შანიძის მიერ
შემუშავებულ მეცნიერულ პრინციპებს. შერჩეული ძველი ხელნაწე-
რები შესწავლილი იყო და შედარებული ერთმანეთთან და ბერძნულ
დედანთან.

მზექალა შანიძე
ზურაბ სარჯველაძე

**წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ
კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ
თარგმანებაჲ იოვანეს სახარებისაჲ**

თავი ა

წმიდისა იოვანესთვის, მახარებელისა და ღმრთისმეტყუელისა

მწედართა ამის სოფლისათა რაჟამს იხილიან ახლად მოსრული ვინმე უცხოჲსა ქუეყანისა მწედარი, ახოვანი და სახელგანთქუმული, მეყსეულად ყოველნი შეკრებიან ხილვად ჳელოვნებისა მისისა და ბრძოლისა და წარმოადგინიან შორის მათსა, და ბევრეულნი სიმრავლენი ჰხედვიდიან მისთა საქმეთა, და ყოველი გონებაჲ მათი მუნ არნ.

და კუალად უკუეთუ მსახიობელი ვინმე საკვრველი მოვიდის, ეგრეთვე მსგავსად ერნი შემოკრებიან და დაუტევიან ყოველი საქმჳ მათი და აღვიდიან ადგილსა მალალსა ხილვად მისთა ჳელოვნებათა და სახიობათა.

ეგრეთვე კუალად ფილოსოფოსთა შორის უკუეთუ ვინმე უცხოჲ ფილოსოფოსი სახელოვანი მოვიდის, ეგრეთვე იქმოდინ, რამეთუ შემოკრებიან ყოველნი და ხედვიდიან მას და ისმენდიან სიტყუათა სიბრძნისა მისისათა და გამოსცდიდიან მას მრავლითა სიტყუთა. ხოლო უკუეთუ კაცთა ფილოსოფოსთა სოფლისათა და მსახიობელთა და მებრძოლთა ზედა ესევეთარი საქმე იქმნების, და ესრეთ ისწრაფიან მრავალნი ხილვად და სმენად მათთა სიტყუათა ფრიადითა სურვილითა და გულსმოდგინებითა, რაოდენ უფროჲსად თქუენ თანაგაც ან სმენად მრავლითა მოსწრაფებითა და სურვილითა სიტყუათა არა მსახიობელისა და ჳორციელისა ფილოსოფოსისათა, არამედ კაცისა ზეცით მეთყუელისა, რომელი ღალადებს და აღმოიტყუს ჳმასა მზისა უბრწყინვალესსა; რამეთუ მისმან ჳმამან ყოველი სოფელი დაიპყრა და აღავსო და კიდეთა მისთა მიიწია არა თუ სიმაღლისაგან მისისა, არამედ რამეთუ საღმრთოთა მადლითა აღსძრავს ენასა თვისსა; და საკვრველი ესე არს, რომელ ესევეთარსა მას სიმაღლესა ზედა მის ჳმისასა არა არს იგი საწყინო და უშუერ, არამედ უსანადელეს არს და უტკბილეს უფროჲს ყოვლისა სიტკბოებისა და უმეტესად დაატკბობს სულსა და გონებასა, ვიდრელა საეშმაკონი იგი ჳმანი მგოსანთა მათ ამის სოფლისათანი, რომელნი-იგი ეშმაკმან დასთესნა კაცთა შორის. ხოლო ესე ჳმად ტკბილ არს და შუენიერ, და ამის ზედა საშინელ არს და ყოვლადწმიდა, და ესოდენითა საიდუმლოთა სავსე არს და კეთილთა მომნიჭებელ, ვიდრელა რომელნიცა მიიღებდენ მას სურვილით და დაჰმარხვიდენ გულთა შინა მათთა, არღარა არიან იგინი კაც ქუეყანის, არამედ უზეშთაეს ყოველთა საქმეთა ამის სოფლი-

სათა აღმალღდებინ და შეიცვალეზინ ანგელოზთა წესად; და ვითარმცა ცათა შინა მკკდრ იყენეს, ესრეთ იყოფებინ ქუეყანასა ზედა.

რამეთუ ძმ იგი ქუხილისა,¹ საყუარელი ქრისტესი, სუეტი ყოვლისა სოფლისა ეკლესიათა, რომელსა ჰქონან კლიტენი ცათანი, რომელმან სასუმელი ქრისტესი შესუა და ნათლის-ღება მისი ნათელ-ილო, რომელი მიეყრდნა მკერდსა მას მეუფისასა² დიდითა კადნიერებითა, იგი მოვალს ან ჩუენ შორის სიტყუად არა ესრეთ, ვითარცა მსახიობელნი სოფლისანი, შემკობილნი პირითა და დაბურვილნი თავითა, აღსრულნი სამღერელსა მას ადგილსა, რომელნი იმღერდიან ფერჯითა, შემკულნი სამოსლითა ოქროსადათა; არამედ ესე ნეტარი შემოვალს ჩუენ შორის შემოსილი სამოსლითა, რომლისა შუენიერება თუალთშეუდგამ არს, რამეთუ ქრისტე ჰმოსიეს,³ და ფერჯნი შემოსილნი განმზადებულებითა სახარებისა მის მშკდობისადათა,⁴ და სარტყელი ჰმოსიეს არა ტყავისა მენამულისა, ცურვებული ოქროთა, არამედ მოქსოვილი ჭემმარიტებითა და მორტყმული წელთა მისთა სინმიდითა.

ესრეთ შემოვალს იგი ჩუენებად ჩუენდა თავსა თვსსა არა ორგულე-ბით ანუ ზაკუევით, – რამეთუ არარად არს ამათგანი მის თანა, – არამედ განცხადებულითა სახითა განცხადებულსა ჭემმარიტებასა მოგვთხრობს; არა ესრეთ, რაათამცა სხუად იყო და სხუად გუეჩუენებოდა სიტყუთა და სახითა და ჳმითა, არცა ორღანოდ უვმს საგალობელად გალობისა მისისა, ათძალი ანუ ორძალი, არამედ ყოველსავე ენითა იქმს, რომლისა ჳმად უტკბილეს არს ყოველსა ათძალსა და ორძალსა.

ხოლო არს ადგილი გალობისა მისისა ცაჲ ყოველივე, და სახილველ – სოფელი, და მხილველ და მსმენელ მისა – ყოველნივე ანგელოზნი და კაცნი, რომელნიცა ანგელოზ არიან ანუ ანგელოზ-ყოფად სურის. რამეთუ ესევეითართა ოდენ ძალ-უტ კეთილად სმენად მისა და საქმით ქმნად; რამეთუ ესევეითარი ჯერ-არს, რაათა იყოს მსმენელ მისა, რომელი იქმოდის სიტყუათა მათ საქმით, ხოლო რომელი საქმით არა იქმოდის, მან არა უწყის, რაჲ-ესე ესმის, არამედ ვითარცა ყრმათა ჩჩვლთა ესმის და არა უწყიან, რაჲ-იგი ესმის; არამედ შუებასა და განცხრომასა სოფლისასა შექცეულ არიან, ვითარცა ყრმანი – მღერასა, და ამათცა ესმიედ სიტყუანი ესე, ხოლო ვერარას შემძლებელ არიან გულისხმის-ყოფად, ვინაათგან თიჯისა და აღიზისა ქმნასა დაუმონებინ თავნი მათნი, რომელ არს ცოდვაჲ. არამედ ამის მოციქულისა წინაშე ზეცისა ძალნი დგანან განკკრვებულნი შუენიერებისა მისთს სულისა მისისა და სიბრძნისა მის გონებისა მისისა და სათნოებათა მისთა სიკეთისა, რომლისა მიერ შეაყუარა მან თავი თვსი ქრისტესა და მოილო მადლი იგი სულისა წმიდისაჲ.

¹ შდრ. მარკ. 3,17. ² შდრ. იოან. 13,25; 21,20. ³ შდრ. გალ. 3,27. ⁴ შდრ. რომ. 10,15.

რამეთუ ვითარცა ორძალი კეთილად მოზავებული, ოქროვანი და ქვითა პატიოსნითა შემკული, ოქროვანთა ჴმათა აღმომტეობელი, ესრეთ მოჰმზადა სული თჳსი და მისცა იგი სულსა წმიდასა, რაჲთა იტყოდის იგი მის მიერ. და ამისთჳს არღარა მეთევზური იგი, არცა ძჳ ზებედესი სცემს ორძალსა ამას, არამედ სული წმიდაჲ, რომელმან იცნის ყოველნი სიღრმენი ღმრთისა საქმეთანი, და ამისთჳს არღარაჲ კაცობრივი გუესმის ამის მიერ, არამედ ყოველი, რომელსაცა იტყვს, საიდუმლოთაგან არს სულისა წმიდისათა და სიღრმეთა მათგან საღმრთოთა საიდუმლოთა, რომელი ანგელოზთაცა არა იცოდეს ამისა პირველ, რამეთუ მათცა ჩუენ თანავე ცნეს სიტყუათა მიერ იოვანესთა ესე საიდუმლონი.

და ამას მოასწავებს მოციქული პავლე, რომელი იტყვს: „რაჲთა საცნაურ იქმნას ან მთავრობათა და ჴელმწიფებათა ეკლესიისა მიერ მრავალსახე იგი ღმრთისა სიბრძნე“. ¹ უკუეთუ მთავრობათა და ჴელმწიფებათა და ქერობინთა და სერაბინთა ეკლესიისა მიერ ცნეს ესე ყოველი, საცნაურ არს, ვითარმედ იგინიცა სამე ფრიადითა მოსწრაფებითა ისმენენ ჴმასა იოვანესსა. რამეთუ ესეცა არამცირედი პატივი მოგუეცა, რომელ ჩუენ თანა ცნეს ანგელოზთა, რაჲ-იგი არა იცოდეს. ხოლო რომელ არა ჩუენ თანა ოდენ, არამედ ჩუენ მიერცა, ამისთჳს რაჲღა ვთქუა, რომელნი ესევეითარნი ვიყვენით, რომელ არა ჯერ-არს ან თქუმად, თუ ვინ ვიყვენით, ანუ ვითარნი, და ესევეითარსა პატივსა მივინიენით. ამისთჳს უკუე მივყოთ ყოველთა სასმენელი ჩუენი დუმილით ნუ დღეს ოდენ, არამედ ყოვლადვე, რამეთუ ყოვლადვე კეთილ არს ამათ სიტყუათა სმენად. რამეთუ უკუეთუ მეფისა სიტყუათა მარადის სურვიელ ვართ სმენად, თუ რაჲ ვთქუა, ანუ რაჲ ქმნა, ანუ რასა განიზრახავს, რომელთაგან არარა სარგებელ არიან ჩუენდა, არა უფროსად ვისწრაფოთა სმენად სიტყუათა მათ, რომელთა ღმერთი იტყვს, საწადელთა მათ და სასურველთა და ჩუენდა დიდად სარგებელთა? რამეთუ ყოველივე, რასაცა ღმერთი იტყვს, ამან კეთილად გკთხრა ჩუენ, რომელი-ესე მეგობარი არს მისი საყუარელი; და უფროსად თავადი იგი ღმერთი და მეუფჳ ყოველთაჲ აქუს თავსა შორის თჳსსა მეტყუელად; და რაჲ-იგი მან მოილო მამისაგან, ამას მოსცა საიდუმლოჲ, რამეთუ თავადი იტყვს, ვითარმედ: „თქუენ ხართ მეგობარნი ჩემნი, რამეთუ ყოველივე, რაჲ-იგი მესმა მამისაგან, გითხარ თქუენ“. ² ხოლო ან, ვითარცა-იგი უკუეთუმცა ვიხილეთ ვინმე ზეცით გამოჩინებული ჴაერთა შინა ცათასა, და გკთხრობდამცა ყოველსა თჳთოეულად, რაჲ-იგი იქმნების ცათა შინა, ყოველნივემცა მივისწრაფდით სმენად მისა, ესრეთვე ან ვყოთ, რამეთუ ესე მაღალი და დიდი კაცი ზეცით გუეტყვს, რაოდენსაცა გუეტყო-

¹ ეფეს. 3,10. ² იოან. 15,15.

დის, რამეთუ არა ამის სოფლისაგანი არს, ვითარცა უფალი იტყვს, ვითარმედ: „თქუენ არა ამის სოფლისაგანნი ხართ“;¹ არამედ აქუს ამას ნუგეშინისმცემელად იგი სული თავსა შორის თვსსა მეტყუელად, რომელი-იგი ყოველსა ადგილსა მიიწევს, რომელმან ესრეთ იცნის საქმენი ღმრთისანი, ვითარცა სულმან კაცისამან საქმენი თვსნი: სული იგი სინმიდისად, სული ჭეშმარიტებისად, სული წრფელი, მთავარი აღმყვანებელი ზეცად, მიმცემელი სხუათა თუალთა სულიერთა და კეთილადმხედველთა, რომელი უჩუენებს მომავალთა საქმეთა, ვითარცა ქმნულთა, რომელი ჯორცთა შინა მყოფთა კაცთა ზეცისა საქმეთა ხილვად ღირს-ჰყოფს.

ამისთვის უკუე ვქმნათ ფრიადი მყუდროებად; ნუმცა ვინ არს უდებ, ნუმცა ვინ არს მოძილ, ნუმცა ვინ არს შეგინებულ აქა შემომავალთაგანი, არამედ აღვამაღლნეთ თავნი ჩუენნი ზეცად, რამეთუ სიტყუათა ამათ ცათა შინა იტყვს ესე მათა მიმართ, რომელთა მოქალაქობად ცათა შინა არს. უკუეთუ კულა ქუეყანასა ზედა დავადგრეთ გონებითა, არარად სარგებელ გუეყოს ამათ სიტყუათაგან, რამეთუ სიტყუანი იოვანესნი არა მათა მიმართ არიან ყოველთა, რომელთა-იგი არა ჰნებავს ბილწისა ცხორებისაგან გამოსლვად. რამეთუ ქუხილი შეაშინებს გულთა, ხოლო ამისი ჯმად არცა ერთსა მორწმუნეთაგანსა შეაშფოთებს, არამედ უფროსად დააცხრობს ყოველსავე ამბოხებასა და შფოთსა, ვინაჲცა მიიწიოს, არამედ ოდენ ეშმაკთა შეაძრუნებს და რომელნიცა მათ ჰმონებდენ.

ამისთვის უკუე დანყნარებით ვისმენდეთ, რაჲთა ესრეთ ვიხილოთ, თუ ვითარ შეაშინებს ეშმაკთა, დავანყნაროთ ყოველივე სახც გარეგანი და უფროსად გონებისად. რამეთუ რაჲ არს სარგებელი დუმილისაგან პირისა, რაჲამს სული ამბოხებასა და შფოთსა შინა იყოს? მე მას ვეძიებ, დანყნარებასა გონებისა და სულისასა, და მათ სასმენელთა ვითხოვ, რამეთუ ჩუენი ესე მგალობელი ესევეთარი არს.

ამისთვის უკუე ნუცა ერთიმცა იპოების სურვილი საფასეთად, ანუ დიდებისა ცუდისად, ანუ მძლავრებად გულისწყრომისად, ანუ გულისტქუმათა ბოროტთად, გინა სხუათა მათ ვნებათა შფოთი, რამეთუ უკუეთუ არა განმდენ სასმენელნი ამათ ყოველთა ბოროტთა ნივთთაგან, ვერ შეუძლონ სმენად სიტყუათა ამათ, ვითარცა ჯერ-არს, ანუ გულისხმის-ყოფად, ვითარცა შეჰგავს საიდუმლოთა ამათ მიუნდომელთა. რამეთუ უკუეთუ წინნილასა და ფანდურსა ვერვინ დაისწავლის, უკუეთუ არა ყოველი გონებად თვსი მუნ შემშუალოს, ვითარ შეუძლოთ საღმრთოთა ამათ საიდუმლოთა დაჯსნილობით სმენად? ამისთვის ქრისტე უფალი იტყოდა: „ნუ მისცემთ სინმიდესა ძალთა და ნუცა დაასხამთ

¹ იოან. 15,19.

მარგალიტსა წინაშე ღორთა“.¹ ხოლო „მარგალიტად“ ამათ სიტყუათა სახელ-სდვა, რამეთუ ესენი ფრიად უპატიოსნეს არიან მარგალიტისა; არამედ ამისთვის შეამსგავსნა ესენი მარგალიტსა, რამეთუ არარად არს ჩუენ შორის მის ნივთისა უპატიოსნეს. ამისთვისცა წერილი სიტკობებასა სიტყუათა ღმრთისათასა მრავალგზის თაფლსა მიამსგავსებს. არა თუ სიტკობებისა მათისა საზომი არს თაფლისა მსგავსებად, არამედ თაფლისა უტკბილესი არარად არს ჩუენ შორის. უკუეთუ არა, ისმინე, რასა იტყვს წინაღსწარმეტყუელი, და გამოაჩინებს გარდამატებულებასა სიკეთისა მათისასა, ვითარმედ: „გულისსათქუმელ არიან იგინი უფროდს ოქროდსა და ანთრაკისა პატიოსნისა მრავლისა და უტკბილეს არიან უფროდს თაფლისა გოლეულისა“.² არამედ მათთვის არს ესე ესრეთ, რომელთა გონებად წმიდად მხედველ არს. ამისთვისცა შესძინა, ვითარმედ: „მონამან შენმან იცვენეს იგინი“;³ და სხუასა ადგილსა თქუა, ვითარმედ: „ტკბილ არიან სასასა ჩემსა უფროდს თაფლისა სიტყუანი შენნი“, და კუალად იტყვს: „უფროდს თაფლისა პირსა ჩემსა“;⁴ რამეთუ მრთელ იყო გონებად მისი. ამისთვის უკუე ჩუენცა ნუმცა უძლურნი სულითა მოუწყებით სიტყუათა ამათ, არამედ განვიკურნეთ სულნი ჩუენნი და ესრეთ ვისმენდეთ, რამეთუ ამისთვის ვთქუენ მრავალნი ესე სიტყუანი და არლარა მითქუამს მისთა სიტყუათაგანი, რადთა თითოეულმან ჩუენმან ყოველი სახე უძლურებისაგან განსდევნოთ და, ვითარცა ცად შემავალნი, ესრეთ შემოხვდეთ წმიდად ყოვლისაგან ვნებისა და ზრუნვისა.

რამეთუ უკუეთუ არა ესრეთ კეთილად განიწმიდნეთ სულნი თქუენნი, ვერად ირგოთ ამიერ. და ნუვინ იტყვნ, თუ: ვითარ შეუძლო ქმნად ამის საქმისა მეყსა შინა? რად არს უბოროტეს ავაზაკობისა? არამედ იხილეთ, ავაზაკი იგი ვითარ სათნოებასა მიიწია მეყსა შინა და სამოთხისა მკვდრად გამოჩნდა, რომელმან არა დღენი იწმარნა, არცა თუ ნახევარი დღისაგან, არამედ წამსა შინა თუალისასა, რამეთუ შესაძლებელ არს მყისსა შინა შეცვალება და თივისა ნილ ოქროდსად ქმნად თავთა თვსთად, ვინაფთგან საქმე ესე ნებასა ჩუენსა ზედა არს: გინა თუ შეცვალება, გინა თუ დადგრომად ბოროტსა ზედა. წერილ არს, ვითარმედ: „უკუეთუ გინდეს და ისმინოთ ჩემი, კეთილი ქუეყანისაგან შჭამოთ“.⁵ ჰხედავა, ვითარ ნებად ოდენ საჭმარ არს და მოსწრაფებად სულისაგან ნებასა თანა? და ნებად ოდენ არა სარგებელ არს, უკუეთუ არა მოსწრაფებადცა იყოს.

რამეთუ ყოველთა ჰნებაგან აღსლვად ზეცად, არამედ საქმეთა მიერ ჯერ-არს ნებისა გამოჩინებად; ვითარცა-იგი ვაჭართა ჰნებაგან განმდიდრებად, გარნა არა ნებასა ზედა ოდენ დაადგრებიან, არამედ საქმეთა-ცა იქმან: და ნავსა მოიმზადებენ, და ზღუათა განჰვლიან, და ოქროსა

¹ მათ. 7,6. ² ფსალმ. 18,11. ³ ფსალმ. 18,12. ⁴ ფსალმ. 118,103. ⁵ ესაია 1,19.

ივასხებენ, და უცხოთა ქუეყანასა მივლენ, და მრავალთა ღელვათა თავს-
იდებენ, ეგრეთვე უკუე გვკმს ჩუენცა გამოჩინებად ნებისა ჩუენისა, რა-
მეთუ ჩუენცა ვალთ ზღუასა შინა, არა ქუეყანით ქუეყანად მიმყვანებ-
ელსა, არამედ ქუეყანით ზეცად აღმყვანებელსა. ამისთვის უკუე ვყოთ
გონებად ჩუენი კეთილად მენავეთმოძღურად და მივსცნეთ მას მენავე-
ნი მორჩილნი და მოვმზადოთ ნავი მტკიცე, რადთა არცა ზრუნვათაგან
სოფლისათა დაინთქმოდის, არცა ზუაობისა ქართთა მიმოიტაცებოდის,
არამედ იყოს იგი ნარუტაცებელცა და სუბუქცა. და უკუეთუ ესევეთარი
იყოს ნავი ჩუენი და ესრეთ იყოს მენავეთმოძღუარი და მენავენი, კეთი-
ლად ვლოთ და ძჳ ღმრთისაჲ, ჭეშმარიტი იგი მენავეთმოძღუარი, მოვი-
ყვანოთ ჩუენდა, რომელმან არა უტეოს ნავსა ჩუენსა დანთქმად, არამედ
დაღაცათუ ბევრეულნი ქარნი ქროდიან, შეჰრისხნეს ქართაცა და ზღუა-
საცა და ქმნას დაყუდება დიდ.¹

ესრეთ უკუე მოჰმზადენით თავნი თქუენნი და ხვალისა დღე მო-
ვედით ეკლესიად, და ესრეთ მიგიტხრნეთ სიტყუანი დიდისა იოვანეს-
ნი, დავსთესნეთ იგინი თქუენ შორის, არამედ ნუმცა გზა ხართ, ნუცა
კლდე, ნუცა ეკლოვან, არამედ იყვენით ქუეყანა კეთილ და ნაყოფიერ,
რადთა ჩუენცა გულსმოდგინებით ვსთესვიდეთ თესლთა, უკუეთუ ვიხი-
ლოთ ქუეყანაჲ იგი წმიდად. უკუეთუ კულა ქვიანი იყოს და ეკლოვან და
ფიცხელ, შენდობა-ყავ, რამეთუ ვერ ძალ-მიც ამაოდ შრომაჲ, რამეთუ
უგუნურება არს ქუეყანასა უქმსა თესვად თესლისა.

რომელიცა ამას ტაბლასა მოვიდეს, არა უკმს მას საეშმაკოთა
ტაბლათა დაჯდომად, რამეთუ რაჲ ზიარებაჲ არს სიმართლისა და
უშჯულოებისა? ანუ რომელი-ეგე ისმენ სიტყუათა იოვანესთა და მის
მიერ სულისა წმიდისათა, და კუალად მისა შემდგომად წარხუალ სმენად
სიტყუათა მეძავთა დედათასა და ზრახვად მათდა, ვითარ შეუძლო
სინმიდით სმენად ამათ სიტყუათა, რომელი-ეგე ინგორები ესევეთარსა
მწკრესა შინა?

აჰა ესერა წინაფსწარ გეტყვ ყოველთა: ნუვინ ამის ტაბლისა მეპურის-
ტეთაგანი განიხრწნის სულსა თვსსა ბოროტთა ცოდვათა მიერ, რამეთუ
იცით თქუენ, ნათელღებულთა მაგათ, რაოდენნი აღთქუმანი აღგვთქუე-
ნით ჩუენ, და არა ჩუენ, არამედ უფროსად ქრისტესა, რაჟამს-იგი ნათელ-
გცემდა. არა იჯმენითა ეშმაკისაგან და ყოველთაგან საქმეთა მისთა?
ამისთვის შიშ არს, ნუუკუე დათრგუნოს ვინ აღთქუმაჲ იგი და ესრეთ ღირს
იქმნეს სატანჯველთა მრავალთა და განვარდეს მათ საიდუმლოთაგან.

არა ჰხედავა ქუეყანისა მეფეთა, რამეთუ არა შეცოდებულთა, არა-
მედ მეგობართა თვსთა იზიარებენ საიდუმლოთა? ან მოციქული მო-

¹ შდრ. მათ. 8,24-26; მარკ. 4,37-39; ლუკ. 8,23-24.

სრულ არს ზეცით ღმრთისა მიერ ჩუენდა მომართ, და თქუენ მის წილ საეშმაკოთა სიტყუათა ისმენთა? რაოდენთა სატანჯველთა ღირს არს საქმე ესე? რამეთუ ვითარცა არა ჯერ-არს დაჯდომად ტაბლასა ეშმაკოთასა, ეგრეთვე არცა სმენად სიტყუათა საეშმაკოთად ჯერ-არს, არცა შემოსლვად სამოსლითა ხენეშითა ბრწყინვალესა ამას ტაბლასა და ბევრეულითა კეთილითა სავსესა, რომელი თავადსა ღმერთსა დაუგიეს. რამეთუ ესეოდენ არს ძალი მისი, რომელ მყისსა შინა ზეცად აღგკყვანებს, უკუეთუ ოდენ წმიდითა გონებითა ვისმენდეთ მას; რამეთუ შეუძლებელ არს, რომელი ესრეთ ისმენდეს სიტყუათა ღმრთისათა, რადთამცა სოფლისა ამის სიმდაბლესა შინა ეგო, არამედ ფრთოვან იქმნების და ზეცისა სავანედ მიიწევის და საუნჯეთა მათ კეთილთასა მიემთხუევის, რომელთაცა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებად სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამენ.